რედაქცია:
ფრეილინის ქუჩა, № 13.
ტფილისი
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართევენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხ. გამავრცელ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13
Редакція „Цнобисъ Пурцели".
Телефонъ № 363

## ტელეფონი რედაქციისა № 363.

შემდეგი ნომერი „ცნობის ფურცლისა" გამოვა, ქრისტეს შობის დღესასწაულის გამო, ხარასკევს, 27 დეკემბერს.

---

ქვრივი **ეკატერინე პეტრეს ასული პეტრიაშვილისა** შვილებითურთ ამით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ 26 ქრისტეშობისთვეს, პეტრე-პავლეს ეკკლესიაში, ავლაბარში, გარდახდილ იქნება **ორმოცის წირვა**, განსვენებულის სიონის კანდელაკის, დეკანოზის **გრიგოლ მოსეს ძის პეტრიაშვილის** სულის მოსახსენებლად და სთხოვენ მობრძანდნენ წირვაზედ დილის 9½ საათზედ.

---

**ქვრივს მარიამ კერესელიძისას და ე. კერესელიძეს** აქვთ პატივი აცნობონ ნაცნობთა და მეგობართა, რამეთუ 27 ქრისტეშობისთვეს 40 დღის შესრულებისა გამო შემდეგ გარდაცვალებისა **მათე იოსების ძის კერესელიძისა**, გარდახდილ იქმნება პანაშვიდი ქვაშვეთის ეკკლესიაში, წირვა დაიწყება დილის ათის ნახევარზედ და პანაშვიდი თორმეტ საათზედ.

---

**გრიგოლ ნიკოლოზის ძე პაპიტაშვილი** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ მეუღლე მისი

**სალომე გიორგის ასული**

გარდაიცვალა 22 დეკემბერს. პანაშვიდი იქნება გადახდილი 25 დეკემბერს, საღამოს 7 საათზედ, მთა-წმინდის სამოქალაქო სასწავლებლის შენობაში, ახმატოვის სახლში; მიცვალებულს გაასვენებენ წირვაზედ ქვაშვეთის ეკკლესიაში, ხოლო დაასაფლავებენ 26 დეკემბერს კუკიის სასაფლაოზე.

---

„მოამბის" რედაქცია უქმეების გამო 25, 26 და 27 დეკემბერს ღია იქნება მხოლოდ დილის 10—12 საათამდე.

---

1897 წლისთვის

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ

## „ცნობის ფურცელზედ"

ვინც წლიურად დაიკვეთავს გაზეთს, მას მიეცა მუქთად 1897 წლის დიდი „საქართველოს კალენდარი", შედგენილი გალ. გუნიას-მიერ.

**გაზეთის ფასი:** ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.

სხვა ვადით გაზეთის დაკვეთა არ შეიძლება.

თითო ნომერი ღირს ყველგან 3 კაპ.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კაპ.

იმ ხელის მომწერთა, რომელთაც წლიურის ფასის ერთბაშად შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქცია შეღავათს აძლევს: ხელის მოწერის დროს 2 მანათი წარმოადგინონ და მერმე ყოველ თვე-და-თვე თითო მანათი, ვიდრე 6 მანათს შეასრულებდნენ.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, Фрейлинская, № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели".

---

სათავად-აზნაურო თეატრი.

ოთხშაბათს, 25 დეკემბერს, 1896 წ.

**კონცერტი**

იტალიის ოპერის განთქმულ პრიმადონის

**ადელ ბორგისა**

და ვენის პროფესორის პიანისტის

**ლუცაცისა**

როიალი მირიმანიანის სამუსიკო მაღაზიიდან.

დასაწყისი სწორედ 9 საათზედ.

ბილეთები და პროგრამები შეიძლება შეიძინონ მირიმანიანის მუსიკალურ დეპოდან ყოველ-დღე სათავად-აზნაურო ქარვასლაში.

2—1)

---

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას

**ხე-ტყის ქარხანა**

კოდორი, სოხუმის ოლქში

ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა იმ საქმისათვის.

ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს

**წაბლის ფიცრებს**

ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისას

ფასი მასალებისა მეტად იაფია

დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.

მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, ანუ Очемчиры, Теймуразу Чачава. (300—1)

---

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა

**ჩვეულებრივი კრება**

კამერჰერი მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის სახლისა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი სვიმონ გიორგის ძე წერეთელი ამით უცხადებს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, რომ შვიდს (7) მაისს მომავალის 1897 წ., კანონთა კრებ. IX ტ. 81 და 82 მუხლ. თანახმად, დანიშნულია ჩვეულებრივი საგუბერნიო კრება.

3—1

---

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა

**ჩვეულებრივი კრება**

**მოხდება 1897 წლის მაისის 28 დღესა**, რასაც საყოველთაოდ ვაუწყებ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას.

ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთა წინამძღოლი თავადი მუხრან-ბატონი.

(3—2)

---

**სამკურნალო და ამბულატორია**

**ს. ბ. თოფურიასი**

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ბ თოფურია**.

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ქ. ბერრატი**.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კობანი**.

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი**.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

ამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია**.

(წ.)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ი. ფ. პრიტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. ბუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პრიტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. ბუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინიგანი და კანისა.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ).

ქ. ქუთაისი.
ქართული თეატრი
1896 წ. კვირას, 29 დეკემბერს.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ქ. ავალიშვილისა და ბ. ალექსი-მესხიშვილის, ყიფიანის და გედევანოვის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება:

ჰამლეტ

ტრაგედია 5 მოქმედ. შექსპირისა, თარგმანი ი. მაჩაბლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, ჩხეიძისა, ივანიძისა და სხვ. ბბ. ალექსი-მესხიშვილი, ყიფიანი, გედევანოვი, ბალანჩივაძე, თუთბერიძე, გიორგაძე, აბულაძე, ნემო, ტყეშელაშვილი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი
დასაწყისი 8 საათზედ
რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.
ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

წარმოდგენა დილით დაკლებულ ფასებით.
ქართული თეატრი
1896 წ. პარასკევს, 27 დეკემბერს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქნება

სამშობლო

დრ. 5 მოქმედ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, გამყრელიძისა, ივანიძისა, ბბ. აბაშიძე, გამყრელიძე, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე, კარბელი, საფაროვი, თამაზიშვილი, და სხვანი.

დასაწყისი 12 საათზე დღისათ

## დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.
„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“).
23 დეკემბერი.

**პარიზი.** არჩევანები: ზემო გარონნის დეპარტამენტში სოციალისტები დამარცხდნენ, აქ კანდიდატად წარადგინეს მინისტრად ნამყოფი კონსტანი; ხელ მეორედ არჩევანებს თხოულობენ; არჩეულნი არიან: 64 რესპუბლიკელი, 21 რადიკალი და 12 კონსერვატორი.

## ახალი ამბავი

*** სახელმწიფო ბანკის განყოფილება გაიხსნება ქუთაისში 1897 წელს.

*** მთავრობამ გადასწყვიტა, გამოერთვას ბათომის მექარხნეებს თუნუქის ბაჟი ორას შვიდი ათასი მანათი ოქროთი.

*** ექიმი გიორგი ბადრიძე დაუნიშნავთ ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს ორდინატორად ექიმი ივ. ელიაშვილის მაგიერ, რომელიც როგორც ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული, გადაიყვანეს ზაქათალაში.

**ბათომი.** ქართული ქადაგება. კვირას, 15 დეკემბერს ბათომის საზოგადოებამ დიდის სიამოვნებით მოისმინა ქართული ქადაგება მღვდლის ს. თოთიბაძესი, რომელმაც წარმოსთქვა სიტყვა განსვენებულის ეპისკოპოსის გაბრიელისა. ქადაგება შეეხებოდა ცოლ-ქმრობის სიწმინდის დაცვას და ცრუ-მოწმობას. საზოგადოება მეტად ნასიამოვნები დარჩა ამ ქადაგებით და ყველას იმედი აქვს, რომ ეს ქადაგება მღვდელის ს. თოთიბაძესი უკანასკნელი არ იქმნება.

*** **გორი.** მამასახლისების არჩევანები. ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით ჩვენს მაზრაში უკვე დაიწყეს არჩევანები სასოფლო საზოგადოებათა მამასახლისებისა და სოფლის სხვა მოხელეებისა. მამასახლისებად გლეხებს ირჩევენ.

*** **სუფსა.** ავაზაკები და კაცის გვამი. 20 დეკემბერს, სუფსაში რომ მოვიდა საქონლის მატარებელი, გამოჩნდა სამი შეიარაღებული თათარი, რომელთაც კაცის გვამი მოჰქონებიათ. მატარებელი რომ დაიძრა, თათრები ავიდნენ ერთს ვაგონზედ და გვამიც თან აიტანეს. უფროსმა კონდუქტორმა სთხოვა მემაშინეს, სადგურს რომ მივუახლოვდებით, მატარებელს სიჩქარეს ნუ მოუკლებო. ამ რიგად სადგურ ნატანებში ჟანდარმებმა დაიჭირეს ერთი თათარი, სახელად სულეიმანი, დანარჩენი ორი თათარი კი გაიქცა და კაცის გვამი მიატოვა.

*** მოსამსახურეთა საყურადღებოდ. ჩვენ მივიღეთ ალექსანდრე თოიძესაგან შემდეგი წერილი:

გაზეთ „ცნობის ფურცელში“, 62 №-ში, დასტამბულია წერილი ერთის მზარეულისა მცირე პროექტითურთ. წერილ-პროექტს დართული აქვს თვითონ რედაქციის შენიშვნა, რომელიც ამბობს: „მოსამსახურეებმა თი-

## ვაჟრების საყურადღებოდ.

დემიდოვები
და
მადნეულობის წარმოება რუსეთში.

(დასასრული *)

გადვიდეთ ახლა ევროპიელ დემიდოვებზედ. ამ საუკუნის დასაწყისში და შუა ხანებში რუსეთის მდიდრები ძალიან ეტანებოდნენ საზღვარ-გარეთ ცხოვრებას. დიდი მამულის პატრონები უსათუოდ პარიზში და იქაურ მხიარულებაში ხარჯავდნენ თავისს შემოსავალს და ხშირად მთელს მამულსაც ამ ცხოვრებას ზედ წააგებდნენ. ნიკოლოზ იმპერატორს ეჯავრებოდა ამგვარი ბატონები. «ფულის დახარჯვა თუ უნდათ, უსათუოდ იქ უნდა გააბნიონ, სხვა ხალხს შესძინონ, განა უმჯობესი არ არის შიგ რუსეთში ხარჯონ და თავიანთ მოძმეთ შესძინონ». მაგრამ პარიზი, იტალიის თბილი ჰაერი და იქაური ლამაზი ქალები იზიდავდნენ მდიდრებს. ბევრი იმათგანი სრულებით გალატაებული თავს იკლავდა და წინანდელკ მილიონებისაგან დასამარხი ფულიც აღარ რჩებოდათ.

უკანასკნელი დემიდოვებიც, გატაცებულნი ევროპიულ ცხოვრებით, თითქმის გადასახლდნენ ზოგი პარიზში და ზოგიც იტალიაში... გადასახლდნენ, მაგრამ ამათი გაკოტრება შეუძლებელ იყო; უთვალავ სიმდიდრის პატრონები უთვალავ ხარჯს ეწეოდნენ, მილიონობით სწირავდენ საქველ-მოქმედო საქმეებს, მაგრამ ამით იმათ თანხას თითქოს არასფერი აკლდებოდა.

ყველა დემიდოვებზედ ქველ მოქმედი იყო ნიკოლაი დემიდოვი— სიყმაწვილეში ეს დემიდოვი ძალიან ფულის მფანტველი იყო—მართებლობამ აპეკა დაუნიშნა და ხელმწიფის სურვილით გრაფ სტროგონოვის ქალი შეირთო. დემიდოვის აუარებელ სიმდიდრეს მოემატა ცოლის სიმდიდრეც. ცოლის შერთვის შემდეგ იგი დანიშნეს ფლორენციაში ელჩად და აი აქედამ იწყება იმისი წესიერი ცხოვრება. არა თუ რუსეთში ჰგზავნიდა სხვა და სხვა კეთილ საქმესათვის შეწირულებას, არამედ აქაც ბევრს ხარჯავდა და სწირავდა. ფლორენციელებმა მადლობის ნიშნად შუა ქალაქში მშვენიერი ძეგლი აუგეს მას და დიდის პატივისცემით იხსენიებენ იმის სახელს. ამის შვილები პავლე და ანატოლი სულ გაევროპიელდნენ, განსაკუთრებით ანატოლი, რომელმაც რუსული ენაც არ იცოდა. ყველა ენებზედ ლაპარაკობდა გარდა თავისის სამშობლო ენისა.

ამ ორ ძმას იმოდენა სიმდიდრე დარჩათ, რომ სრულებით თავი დაკარგეს, არ იცოდნენ რაში დაეხარჯათ. იტალიაში შეიძლება აზნაურობის ყიდვა. ანატოლიმ იყიდა თავადი სან-დონატოს წოდება და მამულები ფლორენციის ახლოს. ხან ფლორენციაში ცხოვრებდა ხან პარიზში. საფრანგეთში ამ დროს იმპერატორათ იყო ნაპოლეონ მესამე. ამისი და პრინცესსა მატილდა ძალიან განათლებული ქალი იყო.

იმის სალონში, სახლში საფრანგეთის ყველა გამოჩენილი მწერალი და მოღვაწე იკრიფებოდა. ამ სალონიდამ გამოდიოდა არა თუ მოდა და ახალი წესები, არამედ ახალი კანონებიც. ნაპოლეონს ძალიან უყვარდა თავის და და პატივსა სცემდა. ანატოლისთვის, როგორც უცხოელი თავადისათვის და ურიცხვი მილიონების პატრონისათვის, პარიზში ყველა კარები ღია იყო. ამ სალონშიაც მიიღეს იგი. ანატოლს მოეწონა პრინცესა მატილდა, ნაპოლეონმაც დასტური მისცა და შეირთო ის ცოლად. ამ გვარად ტულის მჭედლის შვილის-შვილი, «ჩრდილოეთის ბარბაროსი“, „რუსის მუჟიკი“ როგორც იმას პარიზში ეძახდნენ, გახდა ქმარი მთელ ევროპაში ყველაზე მეტად განათლებულ ქალისა და სიძე უძლიერესის იმპერატორისა.

პირველი დემიდოვები გლეხების ცრემლებში და სისხლში ხელებ გათხვრილი თხრიდნენ მიწას, გლეხების ზურგის კანზედ სთლიდნენ ოქრო-ვერცხლს და უკანასკნელნი კი ამ გვარად მოგროვებულ ფულებს ხარჯვიდნენ განცხრომით ცხოვრებისათვის. თუ რამ ძვირფასი ნივთი იყო მთელ ევროპაში, უსათუოდ ამათ უნდა ეყიდნათ. თუ სადმე ლხინი იყო, ესენი ილხენდნენ და ასეთი კანონიც არის ქვეყანაზედ: ლხინი, ქეიფი, განცხრომით ცხოვრება, ოქროს ფანტვა შეიძლება მაშინ, როდესაც ეს ოქრო ცრემლებში, ოფლში და სისხლში ამოვლებულია!

*) იხ. „ცნობის ფურცელი“ № 62

თონ უნდა იზრუნონ თავიანთ თავზედ და სხვისი იმედი ნუ ექნებათო". არ შემიძლიან დავეთანხმო პატივცემულ რედაქციას ამგვარ დასკვნის წარმოთქმაზედ.

მართალია, პატივცემულ რედაქციას ეხლანდელი გაფუქებული დრო ჰქონია სახეში, სადაც ადამიანებს თავიანთი თავი მგლებად დაუსახავთ და თავიანთზედ სუსტნი კი ბატკნებათ წარმოუდგენიათ, მაგრამ არც ასეთი სასოწარკვეთილება ვარგა. პოეტისა არ იყოს: „რაც ვიყავით ის თუ არ ვართ, რაც ვართ, ის ნუღარ ვიქნებით".

ნუ-თუ, ბატონებო, ზნეობრივათ ვალდებულნი არა ვართ, რომ მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობას ხელი შევუწყოთ?!.. რომ პეტრეზე და ივანეზე არ მივუთითოთ, ნუ-თუ ძნელია პატივცემულ „ცნობის ფურცლის" რედაქციისთვის ასეთი შემწეობა აღმოუჩინოს:

მისწეროს საზღვარ-გარეთ მყოფ ჩვენ ახალგაზდობას, გამოგვიგზავნონ იქაური წესდება (არ შეიძლება განათლებულ ქვეყნებში რომ მაგგვარი რამ არ არსებობდეს), შეგვიდგინონ წესდება აქაურ ნიადაგის და გარემოების მიხედვით. და გაზეთის საშუალებით ჩააგონონ შეგნებულ ნაწილს საზოგადოებისას, რომ მონაწილეობა მიიღონ შეძლებისა დაგვარად.

ამაზედ ბ-ნ თოიძეს შემდეგი უნდა მოვახსენოთ: ჩვენის აზრით, ყოველივე ამგვარი საქმე მხოლოდ მაშინ წავა კარგად, როდესაც საქმის მოთავედ და მწარმოებლად თვით იმ წრის ხალხი იქმნება, ვისთვისაც არსდება საზოგადოება. რედაქციის თავის მოვალეობად მიაჩნდა ამ საგანზედ ჩამოეგდო ლაპარაკი, თავის მოვალეობად მიაჩნია აგრედვე დაეხმაროს ყოველგვარ სასარგებლო საზოგადოებას ანუ ამხანაგობას. ხოლო რაც შეეხება ამ საქმის მოთავეობას, საზოგადოებისა და წესდების შედგენას და ყოველგვარ მიწერ-მოწერას, ამას რედაქცია ვერ იკისრებს. გაზეთს სხვა ბევრი მოვალეობა აწევს და რედაქციას სხვა ბევრი საქმე აქვს საკუთარი... ესეც არ იყოს, გვგონია დროა თავი დავანებოთ გადიებისა და მზრუნველების იმედს და, კიდევ ვიმეორებთ, ყველა საქმეში მხოლოდ ჩვენის თავის იმედი ვიქონიოთ. ჩვენ უკეთესი აზრისანი ვართ მოსამსახურეებზედ... ვიცით, რომ მათ შორის არიან წერა-კითხვის მცოდნენი, რომელთაც წერილების მიწერ-მოწერა შეუძლიანთ, არიან ცოტად თუ ბევრად ისეთი შეგნებული კაცებიც, რომელთაც შეუძლიანთ თავის თავის შველა. ზოგ მათგანს-კი, მათდა სასახელოდ, თავის მხნეობის წყალობით დღეს ისე დაუყენებიათ თავისი საქმე, რომ არა თუ თითონ დაუხწევიათ თავი გაჭირვებისაგან, არამედ სხვების შველა და დახმარებაც შეუძლიანთ, თუ კი მოისურვებენ. გვგონია, რომ ამაში თვით ბ-ნი თოიძეც დაგვეთანხმება.

*** **აჯამეთი. მოურავების ავკაცობა.** მოგეხსენებათ თითქმის ნახევარი აჯამეთი ეკუთვნის ონანოვებს. ამ მამულს მართავდა სარქის იონესიანცი, კაცი ყოვლად პატიოსანი, რომელიც გულკეთილად ექცეოდა გლეხებს. აგერ ერთი წელიწადია ონანოვებმა ეს მამული გაიყვეს: ერთს ძმასთან დარჩა იონესიანცი, ხოლო მეორე ძმამ ჩააყენა ვიღაც კაცი, რომელიც საშინლად ავიწროებს გლეხებს. საბალახოში საქონელს არ უშვებს, უბრალო ფიჩხს არავის აძლევს, მაშინ როდესაც სარქის იონესიანცის ხელში საბალახოც მუქთათ ქონდათ გლეხებს და შეშითაც სარგებლობდენ.

**ქუთაისი. წყალტუბოს სამკურნალო წყლებს**, რომელიც იოსელიანებს ეკუთვნის, როგორც აქ ხმა დადის, ვიღაც რუსი კაპიტალისტი ყიდულობსო. ეს აბანო დიდი სიმდიდრეა მცოდნე კაცის ხელში და არ იქნება ურიგო პატრონები ყურადღებას მიაქცევდენ და როგორც რიგია გააკეთებდენ. ამდენი პატრონი ყავს და ნუ თუ აქამდინ ვერ მოახერხეს, რომ მოსავალი გზა ცოტათი მაინც შეეკეთებინათ და გაყიდვის მაგიერ თვით ესარგებლნათ ამ საშვილის შვილო და საუკუნო სიმდიდრით. აქ ჩამოვიდა ბათომიდამ სურის ცირკი და 20 დეკემბერს პირველი წარმოდგენა გამართა, რომელსაც საზოგადოება ძრიელ ნაკლებად დაესწრო.

*** **ქუთაისი. მოდის მიმდევრები.** მოატანა დღესასწაულებმა და ქუთაისსაც, ცოტა არ იყვეს, მოძრაობა დაეტყო. ვაჭრობა გაჩაღდა და სოფლიდამაც ხალხს ბლომათ ყოველნაირი სანოვაგე ჩამოაქვს. დილაობით მოედანზედ ნაძვის შტოებით დატვირთულს ურმებს გზას ვერ აუქცევთ და იცით რათ უნდათ ეს ნაძვის ტოტები?—«იოლკათ" ბატონო. ამ საშობაოთ და საახალწლოთ ერთ უკანასკნელ დაბალ ოჯახს ვერ იპოვით, მიკიტნისას თუ მეხილესას ანუ მზარეულისას, რომ რაღაც ტოტი არ ჩეერჭოს ქოთანში და ზედ წმიდა სანთლები არ მიეკრას და ამას საცოდავები „იოლკას" უძახიან. განათლება თუ გნებავთ, ეს გახლავს და სამწუხარო კიდევ ის არის, რომ ტყუილა უბრალოდ იხარჯებიან და უიმისოდაც მისუსტებულ ტყეს უწყალოდ სჩეხენ და ისიც ნორჩ ხეებს!.

*** **შაჰის სამკვიდრო.** სპარსეთის ეხლანდელს შაჰს მუსაფერ-ედინს თავის მამისაგან დარჩენია ერთი ათასი მილიონი ფრანკის სიმდიდრე. მარტო ოქრო და ვერცხლი 400 მილიონზედ მეტია. შაჰს გადაუწყვეტია ამ ფულიდგან ერთი მილიონი ფრანკი მოახმაროს სპარსეთში ხალხის განათლებას და მეურნეობას.

*** **მაზანდარანი** (სპარსეთშია). **ხალხის აჯანყება.** მაზანდარანიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ იქ დიდძალი ხალხი აჯანყებულა. გუბერნატორი ეინი დოვლე-აბდულ-მაჯიდმირზა, რომელიც ჯარით ამშვიდებდა აჯანყებულებს, მძიმედ არის დაჭრილი.

*** **საბერძნეთის შეიარაღება.** საბერძნეთის მთავრობამ შეუკვეთა ბრეშიის ქარხანას 100 ათასი თოფი. 5 ათასი მზად უნდა იყვეს სამის თვის შემდეგ და 5 ათასიც 8 თვის შემდეგ. მთავრობას განზრახვა აქვს აგრედვე გააკეთებინოს რამდენიმე ჯავშნიანი გემი.

---

**მეგობრული ბაასი.** რაც მეტს გაკვირდები და გცნობილობ, მით უფრო ვრწმუნდები, რომ შენ ხარ... ხარ დიიიდი ღორი!

— რა ბძანებაა, ჩემო კარგო, რა სათქმელია! ღორი რომ ვიყო, აქამდის შეგჭამდი.

— რათაო?

— იმიტომ, რომ ღორი ყველა უწმინდურებას მიირთმევს.

—

**ექვსი პასუხი.** 1. მითხარ, რასა სჭამ, და გიპასუხებ, რა ხელობის კაცი ხარ.

2. მითხარ, რასა სვამ, და მე გეტყვი, რა ხასიათის კაცი ხარ.

3. მითხარ, როგორ გძინავს, და მე გეტყვი, რამდენი ვალი გაქვს.

4. დამისახელე შენი მეგობრები და მე გეტყვი, ვინ არის შენი მტერი.

5. მითხარ ტანთ როგორ იცვამ, და მე გეტყვი, პატივს გცემენ თუ არა საზოგადოებაში.

6. მითხარ, რომელი ქალი გიყვარს და მე გეტყვი, რამდენად სულელი ხარ.

---

## ქალაქის საბჭო.

23 დეკემბერს კრება იყო საბჭოსი. საყურადღებო საგანი ამ კრებისა იყო წინადადება ხმოსან ვართანოვისა მასზედ, რომ ქალაქის თავის მოადგილეს ა. ა. ივანენკოს არა აქვს უფლება აღსრულებდეს ქალაქის თავის მოვალეობას და ამიტომ უკან დააბრუნოს ჯამაგირი, რომელსაც იგი აქამომდე იღებდაო. საქმის ვითარებიდან აღმოჩნდა შემდეგი: 15 იანვარს ამა წლისა დანიშნულ იყო არჩევანი ქალაქის თავის მოადგილისა, რადგან ბ-ნ ივანენკოს შეუსრულდა ვადა ამ თანამდებობის აღსრულებისა. არჩევანი არ შესდგა მაშინ, იმიტომ რომ ბ-ნ ივანენკოს შავი კენჭი მომეტებული ამოუვიდა, ვიდრე თეთრი და გამგეობის სხვა წევრებმა კიდევ არ მოინდომეს ამ ადგილზედ კენჭის ყრა. ამ სახით, ადგილი დაუჭერავი დარჩა. ამავე დროს ხმოსნებმა სთხოვეს ქალაქის თავსა, რომ ჯერხანობით არ დანიშნოს არჩევანი მოადგილისა, რადგან მათ სხვა შესაფერი კანდიდატი არა ჰყავთ და შესაძლოა, რომ მეორედაც ვერავის აირჩევს საბჭო და მაშინ ბ-ნი გუბერნატორი იძულებულ იქმნება თავისის ძალით დანიშნოს ქალაქის მოადგილედ ისეთი კაცი, რომელიც არ იქმნება ამორჩეული საბჭოს მიერ. თანაც, რადგან ქალაქის თავი უნდა წასულიყო რუსეთში სხვა-და-სხვა საქმეებისათვის და მოადგილე კი არავინ იყო, ამის გამო იგი შეეკითხა ბ-ნ გუბერნატორს, ვინ უნდა ითვლებოდეს ქალაქის თავის მოადგილეთაო. გუბერნატორმა ეს საკითხი შეიტანა გუბერნიის სამოქალაქო თათბირში, რომელმაც დაადგინა, რომ მოადგილედ უნდა ითვლებოდეს ბ-ნი ივანენკო, ვიდრე სხვას ვისმეს ამოირჩევდეს საბჭოვო. შემდეგ, როდესაც ქალაქის თავმა თ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა დაანება თავი ქალაქის სამსახურს, მაშინ ბ-ნმა გუბერნატორმა მოსწერა ბ-ნს ივანენკოს, რომ მას მიეღო აღსრულება ქალაქის თავის მოვალეობისა. კანონის ძალით, როდესაც მოხელე დროებით აღასრულებს თავის უფროსის მოვალეობას და თანაც ამ უფროსის ადგილი თავისუფალია, მაშინ მას ეძლევა ჯამაგირი ამ უფროსისა. ხმოსან ვართანოვის აზრით კი ბ-ნ ივანენკოს არა ჰქონდა უფლება არც ადგილის დაჭერისა და არც მომატებულის ჯამაგირის მიღებისა. საბჭომ განიხილა ეს საქმე და დაადგინა: 1) არჩევანი ქალაქის თავის მოადგილისა დაინიშნოს 13 იანვარს 1897 წლისა და 2) კანონიერად შეირიცხოს ის გარემოება, რომ ბ-ნი ივანენკო იღებდა ჯამაგირს ქალაქის თავისას, რადგან აღასრულებდა და ასრულებს ამ მოვალეობას, გარდა პირდაპირის მოვალეობისა, რომელიც აწევს მას როგორც წევრს გამგეობისა.

---

## თეატრის მატიანე.

(გაგრძელება)

„იაკობელები ანუ სამეფო ტახტისათვის", წარმოდგენილი კვირას, მით იყო საინტერესო, რომ ორი ახალგაზდა აქტორი თამაშობდა. პრინც შარლს არდგენდა ბ-ნი მარჯანიშვილი და ჟოეს—კუნდელისა. ხსენებული პიესა პირველად წარსულ სეზონში დაიდგა განმეორებით და საზოგადოებას ძრიელ მოეწონა თავისის შინაარსით. პიესა ფრანგულად ლექსად არის დაწერილი, რის გამო მთელი პიესა „აწეულ კილოზე" აგებული და მიტომ მოთამაშეთაგან ნიჭის გარდა თხოულობს დიდს ხელოვნებას და განსაკუთრებით შეთა-

ნხმებულ და შედუღებულ თამაშობას, რაიცა ჩვენს სცენაზე იშვიათი მოვლენაა, მეტადრე დრამებში. სცენებმა, სადაც ხალხი და ბრბო მოძრაობს, უგემურად და უფერულად ჩაიარა. მიზეზი მოუმზადებლობა და ურეპეტიციობა იყო.

უმთავრესს როლებს ასრულებდნენ: კ. ყიფიანი (ანგუსი), რომელმაც ჩვეულებრივის ხელოვნებით და გრძნობით გაატარა მთელი როლი და განსაკუთრებით მესამე მოქმედება და დასასრულ სცენა უკანასკნელის მოქმედებისა. საზოგადოდ კ. ყიფიანის ნიჭს ძრიელ ეხერხება და უხდება კიდეც მოხუცებულების როლი, დრამატიულია იგი თუ კომიკური, და ანგუსის როლში სწორედ შეუდარებელი რამ იყო გრიმით თუ მიხვრა-მოხვრით, კილოთი თუ სხვა მხრივ; სამწუხაროდ ხშირად ბორძიკებდა, ენა არ ერჩოდა ზოგან პატეტიურ ადგილებში, მაგრამ ეს ნაკლი ამ საღამოს თითქოს სენსავით მოედო ყველა აქტორებს.

ქ-ნ ავალიშვილისამ ხელოვნურად ჩაატარა თავიდან ბოლომდე მარიამის როლი.

ბ-ნი სვიმონიძე ფინგალის როლში კარგი იყო და უხდებოდა კიდეც მის გარეგნობას შოტლანდიელ გმირის ახოვანი აგებულება. უკანასკნელ მოქმედებაში ცოტათი ხმამ უღალატა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ვერ მოიხმარა.

ბ-ნ მარჯანიშვილს ეტყობოდა, რომ პრინცი შარლის როლს დაჰკვირვებია და ბევრსა ცდილა, რომ დაეხასიათებინა და დაესურათებინა ავტორის აზრი, მაგრამ ღონე ვერ შესწევდა. ჯერ ერთი, რომ მეტად ახალგაზდა იყო; მართალია შარლიც ახალგაზდაა, მაგრამ ბ-ნი მარჯანიშვილი უფრო ყრმა-ჭაბუკი იყო, ვიდრე ახალგაზდა პრინცი შარლი, რომელსაც აჰყვა მთელი შოტლანდია. მეორე—შარლი ცხოვრებით აღსავსე, აშიყი და მხიარული ბუნების კაცია, აღზრდილი საფრანგეთში დ სასახლის ცხოვრების დ ზნე-ჩვეულების ელფერით აღბეჭდილი. მარჯანიშვილის შარლი-კი ყოველსავე ამას მოკლებულ იყო. ვერც უკანასკნელი სცენები დაგვისურათა ბ-ნმა მარჯანიშვილმა. მისი შარლი არ იწვევდა სიბრალულს მაყურებლებში, მიუხედავად იმისა, რომ მწარე და გულსაკლავ სიტყვებს ამბობს და მართლაც შესაბრალისს და უკიდურესს მდგომარეობაშია ჩავარდნილი, თუნდა იმ სცენაში, როცა ბრმა ანგუსს პურსა სთხოვს!.. ეტყობოდა, რომ ბ-ნი მარჯანიშვილი ყოველსავე სიმწარეს შარლისას თავათ გრძნობდა, მაგრამ თვით გრძნობასა და ამ გრძნობათა გამოსახვის შორის დიდი მანძილია... ყოველ შემთხვევაში ბ-ნი მარჯანიშვილი, იმედია, რომ მეტად გონიერ და სასარგებლო აქტორად შეიქმნება შემდეგში ქართულ სცენისათვის, ხოლო ნუ ჩქარობს, ნუ ეპოტინება ჯერ მისთვის შეუფერებელს როლებს...

ქ-ნმა კუნდელისამ სწორედ გვასიამოვნა პაწია ქოეს როლში. ყოველი სიტყვა, ყოველი ნაბიჯი როლის შესაფერი ჰქონდა, რისთვისაც ღირსეულად დააჯილდოვა საზოგადოებამ ტაშის კვრით. ელ. ჩერქეზიშვილისა და ბ-ნი კანდელაკი კარგები იყვნენ თავიანთ პატარა როლებში.

ეხლა ორიოდე სიტყვა ჩემს რეცენზიებზე. არ ვიცი, ღმერთმანი, რა ვქნა, როგორ მოვიქცე, როგორ რა ვწერო. ერთის მხრით, თურმე, ჩვენი აქტორები ჯავრობენ, როცა იმათზე სიმართლეს დასწერ, მეორეს მხრით კიდევ დრამატიულ საზოგადოების მმართველობა და მესამეს მხრით ბ-ნი რედაქტორი მეჩხუბება ყოველ დღე და წითელ მელნით მიჰრელებს ყველა წერილებს, რა არის სიმკაცრე რამე არ ეტყობოდეს ნაწერსაო და აქტორები არ მოვიმდუროვო. მე მხოლოდ ერთი რამ მაკვირვებს: შესაძლებელია სიმართლე ითქვას და მკაცრად და მწარედ არ ეჩვენოს იმას, ვისზედაც იწერება იგი? რად გავიწყდებათ თქვენ, პატივცემულნო აქტორებო, თქვენც უფრო პატივცემულნო, ქართულ თეატრის ბედ-იღბლის გამგებელნო და, თქვენც, ბატონო რედაქტორო, რომ სიმართლეს ცხელის რკინის თვისება აქვს, სადაც იარას მოხვდება, უთუოდ დასწვავს და ატკენს.

—

**ადელ-ბორგის კონცერტი.** გამოჩენილი მომღერალი ქალი ადელ-ბორგი ტფილისში მოვიდა კიდეც. პირველი მისი კონცერტი დანიშნულია დღეს, 25 დეკემბერს, თავად-აზნაურთა თეატრში.

---

## ქალების საყურადღებოდ.

—

**კავკავი.** ქართველ ქალებს საზოგადოთ უსაქმურობას და უთაობას უკიჟინებენ. კარგათ რომ დაუკვირდეს ამ საგანს კაცი, ადვილად მიხვდება, რომ ეს აზრი ტყუილი არ არის, მაგრამ მეორეს მხრით ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეებიდან რაღაც ქალების თვით-შეგნების მხრით მოძრაობის ამბებსაც ამოიკითხავთ გაზეთებში; მაგრამ ზოგიერთი ამბავი, თუგინდ ქუთათურ ქალებისა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის" დახმარების თხოვნისათვის, ვერაფერ მალამოს ვერ მოსცხებს ჩვენის ქვეყნისთვის გულ-შემატკივრებს, მათს დაკოდილს გულს.

დავუბრუნდეთ ისევ კავკავს. მაშ კავკაველ ქართველ ქალებს რით მოაქვთ თავიო, მკითხავთ. ამაზე ვეცდები, მივაწოდო მკითხველს სწორი პასუხი და იმედია, სიმართლისათვის არავინ გამიჯავრდება. მთელი კავკავის ქართველი ქალობა შეიძლება ორ დასათ დავყოთ და ისე დავახასიათოთ თითოეული მათგანი. პირველს დასს ეკუთვნის 30-მდის მანდილოსანი, რომელნიც შეადგენენ ერთს წრეს, რომელსაც აქვს თვისი განსაზღვრული და შემუშავებული წესდება. ამ წესდების მიხედვით კვირაში თითო დღე ეს ოცდა ათი მანდილოსანი იკრიბება რიგ-რიგად რომელსაიმე წევრის ოჯახში, სადაც დროს ატარებენ მუშაობაში, ხელ-საქმის კეთებაში, ჰრა-კერვაში და სხ. მუშაობის დროს ერთი მათგანი კითხულობს რომელსამე საინტერესოს და გასართობს წიგნს, სხვები კი მუშაობენ და თან კითხვასაც ყურს უგდებენ. წაკითხვის შემდეგ გაიმართება საუბარი წაკითხულ ამბისა თუ მოთხრობის შესახებ. ერთხელ, როდესაც ამათ კრებას დავესწარი, კითხულობდენ ისტორიულ მოთხრობას დიმიტრი ბაქრაძისას ქართველ ქალების შესახებ. ეს წიგნაკი მართლა შესაფერისი იყო ამისთანა კრებისათვის და ამიტომ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე. ყველა მანდილოსანი, რომელიც კი მონაწილეობას იღებს ამ წრეში, ვალდებულია წლიური საწევრო გადასახადიც იხადოს და თუ რომელიმე წევრთაგანი ვერ დაესწრა კრებას იხდის ჯარიმას დ თუ მამაკაცთაგანი ვინმე დაესწრა კრებას, უნდა გადიხადოს ათი შაური. წელიწადში ერთხელ გაიმართება ბაზარი ხელსაქმით გაკეთებულ ნივთების გასასყიდლად, რომლისაგან შემოსული ფულებიც აგრეთვე ემატება ქალების საზოგადოების თანხას; ხოლო ამ გზით შეგროვილს ფულს ახმარებენ რომელსამე საქველ-მოქმედო საგანს (სახეში აქვთ აქაური ქართული სკოლა). ამ მანდილოსნების კრების მოთავედ ბრძანდება პატივცემული ე. ი. ჭიჭინაძისა, ხაზინადრათ ელისაბედ დავითის ასული მოზდოკელოვისა. რამდენჯერაც კი დავსწრებივარ ამ მანდილოსანთა კრებას, ყოველთვის სასიამოვნო სურათი წარმომიდგებოდა თვალწინ და ყოველთვის კარგი შთაბეჭდილება გამომიტანია. ვინც დაუკვირდება ამ გვარ კრებების მიზანს და მოქმედებას, ყოველთვის დარწმუნდება, რომ აქაური წრე შეგნებულ მანდილოსანთა თავის სასახელოთ და სხვის სასარგებლოდ საუკეთესოს ვერაფერს მოიფიქრება. ამიტომ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის ქალებმა მიბაძონ კავკავის მანდილოსანთა წრეს, ამით დიდ სარგებლობას მოუტანენ ქვეყანას და თავის თავსაც. ეხლა აქაურ მანდილოსანთა მეორე დასზე უნდა მოგახსენოთ, მაგრამ ცოტათი მიბორძიკდება ენა. კარგს ვერაფერს იტყვი და ავი რა სასურველიაო. მაგრამ, რადგანაც „ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების", მეც მოგახსენებთ. რამდენადაც პირველი დასი გახლავთ ქებისა და მიბაძვის ღირსი, იმდენად მეორე ჯური აქაურ მანდილოსნებისა არის დასაძრახავი და გაკიცხვის ღირსი, რადგანაც ბევრს მათგანს სხვისი გაკიცხვა-გაკილვისა და ჭორიკანობის მეტი საგანი ვერ უპოვია ცხოვრებაში. აბა მოდი და ამათზედაც ისე გულდამშვიდებით ილაპარაკე, როგორც პირველებზედ. მაგრამ ჩვენ იმედ დაკარგული და სასოწარკვეთილი არ გახლავართ, პროგრესსი გვრწამს, რასაკვირველია, და ამიტომ გვჯერა, რომ ისინი მაინც, ვისაც ჯერ კიდევ სრულ ხელობად არ გაუხდიათ ჭორიკანობა, თავისთავად მიხვდებიან და დარწმუნდებიან, თუ როგორი დამამცირებელი და მავნებელი ხელობაა ათასნაირი ჭორი და ცილის წამება; გვრწამს და გვჯერა, რომ ამისთანა პირები მალე შეიგნებენ თავიანთ დანიშნულებას, სხვისა თუ არა, თავის შვილების წინაშე მაინც, რადგანაც ყოველგვარი სენი მემკვიდრეობით გადადის შთამომავლობაზე და ჭორიც, როგორც ნაყოფი სულმოკლეობისა დ გონებითის სიღუხჭირისა, შეუნიშვნელი არ დარჩება პატარა ბავშვების მიერ, რომლებზედაც ვერაოდეს სასარგებლოთ ვერ იმოქმედებს.

---


# საუკეთესო ღვინოები

ს. ი. კურდღელაშვილისა.

მომავალ დღესასწაულებისათვის ისყიდება კახეთის საუკეთესო მველი ღვინოები, ბოთლი 20 კაპ. ვიდრე 1 მ., ვედრო 3 მან. ვიდრე 10 მან.

ქალაქს გარეთ მსურველთ შეუძლიანთ დაიბარონ როგორც ნაღდის ფულით, აგრეთვე კონტორით და უნდა გამოგზავნონ ბეი ფულის რაოდენობის მიხედვით.

საწყობი იმყოფება შუა ბაზრის თავში, წინამძღვრიშვილის სახლში.

ს. ი. კურდღელაშვილი.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 24-го Декабря, 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ხიგ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია